საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2618 2017 წლის 15 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისთვის საინვესტიციო/კაპიტალური პროექტებისთვის გათვალისწინებული გადასახდელების მიმდინარე დანიშნულების ხარჯებში გადატანაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას (პროგრამული კოდი: 30 01 02 – „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია“) საინვესტიციო/კაპიტალური პროექტებისთვის გათვალისწინებული გადასახდელების (447000 (ოთხას

ორმოცდაშვიდი ათასი) ლარი) მიმდინარე დანიშნულების ხარჯებში გადატანის თაობაზე;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას (პროგრამული კოდი: 30 03 01 – „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია“) საინვესტიციო/კაპიტალური პროექტებისთვის გათვალისწინებული გადასახდელების (167000 (ას სამოცდაშვიდი ათასი) ლარი) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმდინარე დანიშნულების ხარჯებში გადატანის თაობაზე;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს (პროგრამული კოდი: 30 01 01 01 – „საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი“) საინვესტიციო/კაპიტალური პროექტებისთვის გათვალისწინებული გადასახდელების (90000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი) მიმდინარე დანიშნულების ხარჯებში გადატანის თაობაზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**